პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

1. **დომენის რეგულაციის** მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია **ადმინისტრატორისთვის** ან/და **რეგისტრატორისთვის** **დომენური სახელის** რეგისტრაციასთან დაკავშირებით.
2. **ადმინისტრატორი** და **რეგისტრატორი** ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს შემდეგნაირად:

2.1 **რეგისტრანტის** სარეგისტრაციო განაცხადის განსახილველად და მისთვის მომსახურების გასაწევად, **რეგისტრანტის** თანხმობის საფუძველზე, რომელი თანხმობაც გამოხატულია და დაფიქსირებულია სარეგისტრაციო განაცხადში და **რეგისტრატორსა** და **რეგისტრანტს** შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, **რეგისტრატორი** და **ადმინისტრატორი** აგროვებენ და ამუშავებენ შემდეგი კატეგორიის ინფორმაციას:

(i) **რეგისტრანტის**, **რეგისტრანტის ტექნიკური**, **ადმინისტრაციული საკონტაქტო პირის** და **ბილინგ საკონტაქტო პირის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული სახელი, საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი (ქვეყანა, შტატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საფოსტო ინდექსი, ქალაქი, ქუჩა, ბინა);

(ii) **რეგისტრანტის** და **ადმინისტრაციული საკონტაქტო პირის** პირადი ნომერი, ასაკი, სქესი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, ქვეყანა, რომელმაც გასცა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან პირადი ნომრის არარსებობის შემთხვევაში - დაბადების თარიღი და ქვეყანა, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს;

(iii) **რეგისტრანტის** ანგარიშის ნომერი, სარეგისტრაციო საფასურისა და რეგისტრაციის განახლების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

(iv) იმ **სახელის სერვერების** შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ემსახურება **რეგისტრანტის** სახელზე რეგისტრირებულ **დომენურ სახელს**;

(v) ავტომატურ რეჟიმში ლოგ ფაილების სახით შეგროვებული ინფორმაცია, რომელიც, მათ შორის და არამხოლოდ, მოიცავს **რეგისტრანტის** მიერ **დომენური სახელის** გამოყენების, სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების, **რეგისტრანტის** პროფილის მართვის შესახებ ინფორმაციას.

2.1 **რეგისტრატორი** და **ადმინისტრატორი** უფლებამოსილები არიან შეაგროვონ და დაამუშაონ **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები **რეგისტრანტის** სახელზე **დომენური სახელის** რეგისტრაციისა და **რეგისტრანტისთვის სარეგისტრაციო მომსახურების** გაწევის მიზნით, რაც საჭიროა შემდეგი ქმედებების განსახორციელებლად:

(i) **დომენური სახელის** რეგისტრაციისთვის და **სარეგისტრაციო მომსახურების** გასაწევად;

(ii) **WHOIS მომსახურების** მეშვეობით **რეგისტრანტისა** და მის სახელზე რეგისტრირებული **დომენური სახელის** შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად;

(iii) **ადმინისტრატორის/რეგისტრატორის** კომპეტენციას მიკუთვნებული ოპერაციების შესასრულებლად ან გადაწყვეტილების მისაღებად;

(iv) კანონმდებლობის, ინსტრუქციის ან სავალდებულო ძალის მქონე წესების, რომლებიც ვრცელდება **ადმინისტრატორზე/რეგისტრატორზე**, დასაცავად, ასევე დარღვეული, ან სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლოსა თუ დავის ალტერნატიული განმხილველი ორგანოს მეშვეობით;

(v) **რეგისტრანტის**, **ტექნიკური საკონტაქტო პირის, ადმინისტრაციული საკონტაქტო პირის** და **ბილინგ საკონტაქტო პირის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იდენტიფიცირებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადგენის უზრუნველსაყოფად;

(vi) **დომენური სახელების რეესტრის** ფუნქციონირებისთვის.

3. **ადმინისტრატორი/რეგისტარტორი** უფლებამოსილია გაამჟღავნოს **რეგისტრანტის** პერსონალური ინფორმაცია შემდეგ შემთხვევებში:

(i) **დომენის რეგულაციის** 7.4.1 პუნქტის შესაბამისად გამოაქვეყნოს დომენური სახელის შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე;

(ii) **დომენის რეგულაციის** 7.4.3 პუნქტის შესაბამისად რეგისტრანტის შესახებ ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს, შესაბამისი იურისდიქციის მქონე უფლებამოსილ ორგანოს, მათ შორის, WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრს, სასამართლოს, ალტერნატიული დავის განმხილველ ორგანოს, რომელიც მითითებულია **რეგისტრანტსა** და **რეგისტრატორს** შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

4. **რეგისტრატორი** და **ადმინისტრატორი** უფლებამოსილნი არიან დაამუშაონ და შეინახონ **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები **რეგისტრანტსა** და **რეგისტრატორს** შორის **სარეგისტრაციო მომსახურების** გაწევის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის და ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან/შეწყვეტიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, ასეთი ვადის გასვლის შემდეგ

რეგისტრატორი/ადმინისტრატორი ვალდებულია წაშალოს **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები.

5. **რეგისტრანტსა** და **რეგისტრატორს** შორის სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის/შეწყვეტის შემდეგ **რეგისტრანტი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **რეგისტრატორს/ადმინისტრატორს** საკუთარი პერსონალური მონაცემების წაშლა, რა შემთხვევაშიც **რეგისტრატორს/ადმინისტრატორი** ვალდებულია წაშალოს ასეთი **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6. **რეგისტრანტს, ადმინისტრაციულ საკონტაქტო პირს, ტექნიკურ საკონტაქტო პირს ბილინგ საკონტაქტო პირს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლება აქვთ **ადმინისტრატორისგან** და **რეგისტრატორისგან**, რომლის მეშვეობითაც **რეგისტრანტმა** გააკეთა სარეგისტრაციო განაცხადი **დომენური სახელის** დასარეგისტრირებლად ან **რეგისტრატორის** შესაცვლელად, ნებისმიერ დროს მოითხოვონ ინფორმაცია **ადმინისტრატორის** და **რეგისტარტორის** მიერ დამუშავებული თავისი პერსონალურ მონაცემების შესახებ.